ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3724029001**
თარიღი:**29/01/2024**

# დასკვნა

## „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027წლები)“ - დამტკიცების შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისიამ განიხილა ოზურგეთის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027 წლები) (შემდგომში „დოკუმენტი“) და დადგინა:

1. დოკუმენტი განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვით მდგრადობას და გაუმჯობესებულ ციფრულ მმართველობას.
2. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგი 4 ძირითადი მიზნების განხორციელებას:
   - მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა;
   - ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად;
   - განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
   - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
   - ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, კარგი მმართველობის დანერგვა.
3. დოკუმენტში მოცემულია SWOT (სვოტ) ანალიზი. სვოტ ანალიზში სიღრმისეულად არის გამოკვლეული მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის ეს ნაწილი თვალნათლივ ადასტურებს მუნიციპალიტეტის მიმდინარე პერიოდისათვის განვითარების სწრაფ და ეფექტურ ტენდენციებს. ამასთან ერთად, დოკუმენტში ასახულია შესაძლებლობის ნუსხა კარგად ადასტურებს მუნიციპალიტეტის უფრო დაჩქარებული ტემპებით განვითარების ფართო და მრავალმხრივი შესაძლებლობის რეალურად არსებულ ფაქტს.
4. დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად დასახულია 5 მიზნის განხორციელება, რომელიც თავის მხრივ 20-ზე მეტი ამოცანის გადაწყვეტას ითვალისწინებს. აღნიშნული ამოცანებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:
   - ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
   - მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პროგრამების სტიმულირება მუნიციპალურ დონეზე;
   - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის (ფორმალური და არაფორმალური) განათლებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- მოდერნიზებული ელექტრონული მმართველობითი მექანიზმების დანერგვა მოსახლეობასთან ოპერატიული კომუნიკაციისა და ეფექტური უკუკავშირისათვის;
- საკრებულოს საზედამხედველო უფლებამოსილების გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კომისიამ დაადგინა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027 წწ.) განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი